განკარგულება:**გ-37.37213375**
თარიღი:**03/12/2021**

განკარგულება № 50

ქ. ოზურგეთი 3 დეკემბერი 2021 წელი

ახალარჩეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 25-ე მუხლის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. N60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად შედგენილი შემაჯამებელი ოქმის და საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის დასკვნის საფუძველზე, ცნობილი იქნას ახალარჩეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება.

მუხლი 2. დამტკიცდეს ახალარჩეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა შემადგენლობა, თანახმად დანართისა.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2021 წლის 3 დეკემბრიდან.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
თავმჯდომარე (უხუცესი წევრი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი